

F $\frac{8781}{3}$



F 8.781

3.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების

XXIV საგამეცნიერო სესია

(1947 წლის 11 და 12 აპრილს)

მუშაობის გეგმა

და

მოხსენებათა თეზისები

XXIV НАУЧНАЯ СЕССИЯ ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ
НАУК

(План работы и тезисы докладов)

11 апреля, в 11 час. утра

1. Е. С. Такайшвили, действ. член АН Грузинской ССР.
Некоторые памятники грузинской старины в Европе.
2. Ш. С. Асланишвили, проф.. Древне-грузинские нотные
знаки.
3. М. Д. Бердзنيшвили, ст. научн. сотр.. Захарий Па-
лавандишвили и современное ему грузинское общество.

12 апреля, в 11 час. утра

1. Г. К. Ниорадзе, чл.-корр. АН Груз. ССР. Квишарские
археологические памятники.
 2. Г. А. Меликишвили, ст. научн. сотр.. Древнейший очаг
урартских племен.
-


11 აპრილს, დილის 11 საათზე

1. ექვთიმე თაყაიშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამდ. წევრი.
ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი
ცნობები ზოგიერთ სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ.
2. შალვა ასლანიშვილი, პროფ.. ძველი ქართული სანოტო
ნიშნები.
3. მაქსიმე ბერძნიშვილი, უფრ. მეცნ. თანამშრ.. ზაქარია
ფალავანდიშვილი და მისი დროის ქართული საზოგადოება.

12 აპრილს, დილის 11 საათზე

1. გიორგი ნიორაძე, საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპ..
ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები.
2. გიორგი მელიქიშვილი, უფრ. მეცნ. თანამშრ.. ურარ-
ტული ტომების უძველესი კერა.

F8.781
3



სხდომები შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის სასხდომო დარბაზში
(ძერჟინსკის ქ. № 8)

187.87

ე. თაყაიშვილი

ფეოდალური ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი
ცნობები სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ

(შინაარსი)

1

ხატი ღვთისმშობლისა ზატონიშვილის ხვარამზესი 1710 წლისა.

2

პატარა ტანის სახარება მე-18 საუკუნის დასაწყისისა ნუსხა ხუცურით ნაწერი, ოთხი მახარებლის სურათით, ოქროს კიოტში, რომელიც შეძკობილია სპარსული ძილანქრით. პირველ გვერდზე წარმოდგენილია ჯვარცმის სურათი, მეორეზე—ჯოჯოხეთის წარტყევა. კიოტი დამზადებულია მეფე გიორგი XI-ის მდივნის გიორგი კვინიხიძის შეკვეთით სპარსეთში 1707 წელს. ყველა ფიგურის ტიპი სპარსულია და მით თვალსაჩინოდ განირჩევა სხვა ამგვარ სურათებისაგან. ხელნაწერის გადამწერია პაპუნა.

3

ათონური რიგის ხის ჯვარი უტარო, ქართული ხელობისა, ზედ ამოჭრილი წმინდათა ფიგურებით, მე-18 საუკუნისა. გვერდები შემკობილია ქართულ-სპარსული მილანქრით ზედ გამოსახული ყვავილებით. მილანქარი მწვანე და ოქროსფერია.

4

ასეთივე ჯვარი, მაგრამ ტარიანი, აგრეთვე მე-18 საუკუნისა. ეს ჯვარი პირადად მე არ მიხატავს, ის პარიზელ ანტიკვარს ზოლოტნიცკის ჩემთვის არ უჩვენებია და მხოლოდ ფოტოგრაფია მომაწოდა პირველი გვერდისა. სურათები გარდა თავის სურათისა დაფარულია გამჭვირვალე ქაღალდებით და ფოტოზე აღარ განირჩევიან. ტარზე მხედრული წარწერა აქვს ორ-სტრიქონიანი, მაგრამ ამაში ჯვარის პატრონი მოხსენებული არ არის, ეს მეორე გვერდზე იქნებოდა.

ხატი კარედი ქრისტეს მიძინებისა, ვახტანგ ორბელის ბრძანებით გაჭედილი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში თავის კარის ეკლესიისათვის სოფელ ტანძიაში. ხატი ხუთი ვერცხლის ფირფიტისაგან შედგება. პირველზე ღვთისმშობლის ხარებაა მოქცეული, მეორეზე—მიძინება ქრისტესი. ამის კარებზე წარმოდგენილია თორმეტი მოციქული ფერადებით და სრულის ტანით, მესამეზე ბუდეებში მოქცეულია 28 ნაწილი წმიდანებისა, მეოთხეზე დახატულია ხელთუქმნელი ხატი ძაცხოვრისა და მეხუთეზე გარედახ ჯვარის ირგვლივ ლაქაში ასომთავრული წარწერაჲ.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის აღმოჩენა. ამდენ ხანს ცნობილი იყო ამ ქართული მონასტრის ტიპიკონის (ე. ი. წესდების) ბერძნული ტექსტი. მეორე მსოფლიო ომის წინ ერთს კვიპრის ბერძენთა მონასტერში აღმოჩენილა ქართული ხელნაწერი ამ მონასტრის ტიპიკონისა, რომლის პირველი გვერდის ფოტოგრაფიული სურათი მივიღე და გადმოვწერე. ცნობილია, რომ კვიპრის კუნძულზე იყო ქართული მონასტერი ღალია, ალბათ იქ უნდა იყოს ნაპოვნი ხსენებული ხელნაწერი.

თვენი (ანუ საგალობელნი) დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვეებისა, დიდი ტყავის ხელნაწერი in folio, გადაწერილია იოვანე დვალის მიერ XI საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ჯვარის მონასტრის აღმაშენებლის პროხორეს ბრძანებით (იერუსალიმის მახლობლად). ხელნაწერი არ არის აღნიშნული არც პროფესორ ა. ცაგარლის კატალოგში, არც პროფ. რ. ბლევკის კატალოგში.

გრაგნილი ეტრატისა, სიგრძით 123,3 სანტიმეტრი, განით 18 სანტიმეტრი, შეიცავს იოანე ოქროპირის ჟამის წირვას, თავი და ბოლო აკლია, დაწერილია ნუსხა ხუცურით. შემკობილია ფერადებით დახატული ოთხი ასომთავრული ასოთი: ლ, შ, ო და გ, ფერადები არის წითელი და მომწვანო მუქი. გრაგნილი უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს.

უცნობი ხელნაწერი პეტრე ლარაძის „დილარიანისა“. ეს ხელნაწერი წარმოადგენს, როგორც ეტყობა, ავტოგრაფს და განსაკუთრე-

ბით საყურადღებოა ძით, რომ დართული აქვს ფერადებით დახატუ-
ლი პორტრეტი თვით ავტორისა ქართული ტანისამოსით და აგრეთვე
სურათი პოემის გმირის მეფის დილარისა, რაც არც ერთს სხვა „დი-
ლარიანის“ ხელნაწერში არ გვხვდება.

10

საბა-სულხანს ორბელიანის ლექსიკონი, რომელიც ეკუთვნის მის-
ტერ ალენს (ინგლისში). ხელნაწერი გადაწერილია იოანე ლარაძის
მიერ მე-18 საუკუნის დასასრულს მზეჭაბუკ ორბელიანისათვის. წი-
გნი ფრიად საყურადღებოა ფერადით შესრულებული მეთაური ასოე-
ბით და ნამეტნავად სიმბოლიურად სურათებით ამა თუ იმ სიტყვისა.
ეს იშვიათია სხვა ხელნაწერებში.

11

ფარდა ატლასისა, რომელზედაც ოქროს და აბრეშუმის ძაფებით
ამოქარგულია ეგრეთ წოდებული იესეს ხე ანუ შტო, ღვთისმშობლის
სურათით, ოცი ბიბლიური ძეგით, ოთხი მოციქულით და ორი წინას-
წარმეტყველით, ფარდა შეუწირავს 1773 წ. ქსნის ერისთვის დავი-
თის დედას ქეთევანს სიონის ტაძრისათვის თბილისში.

შ. ასლანიშვილი

ძველი ქართული სანოტო ნიშნები

1. X საუკუნიდან საქართველოში საგალობლები ემყარება რვა
ხმის სისტემას. ამათგან ოთხი ძირითადია და ოთხი—გვერდითი
(„გუერდნი“). ყოველ „ხმას“ (лад, глас, mode) თავისი გარკვეული
ფორმულა აქვს.

2. X, XI და XII ს. ს. ხელნაწერების მიხედვით ძველ საქართვე-
ლოში საგალობლის ძელოდიის აღსახიშნავად საგაზებო ხიძხების
სისტემა იხმარებოდა და ძელოდიის სახოტო ხიძხებით შემკობას
„აღნიშვნა“ ეწოდებოდა. ეს სისტემა X ს.-თვის შკაფიოდ ჩამოყალი-
ბებული და გავრცელებული იყო.

3. ამჟამად ცნობილია ცხრა ძველი ხელნაწერი, რომლებიც სა-
ნოტო ნიშნებს შეიცავენ. ხუთ ხელნაწერში გვხვდება ძირითადი
ქართული სახოტო ნიშნები. გარდა ძირითადი ქართული სანოტო ნი-
შნებისა, ზოგ ხელნაწერში ბიზანტიური ეკფონეტიკური (ფსალმო-
დური) ნიშნები გვხვდება—ტიბიკონი (ხელნაწერი 1349) და სახა-

რება (H 1667)—იორდანეს ხელნაწერში (A 603) ერთი ქართული სახე-შეცვლილი სანოტო ნიშნით მეტია. ბიზანტიურმა ეკონომიკურმა ნიშნებმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა.

4. ძველ ქართულ ხელნაწერში დაცული სანოტო ნიშნები იყოფა 3 ჯგუფად; ესენია:

ა) ქართული წარმოშობის სანოტო ნიშნები, ინტონაციისა და რიტმის აღმნიშვნელი (ქართული სანოტო ნიშნების ძირითადი ჯგუფი).

ბ) ბიზანტიური ნიშნები, რომლებიც ან ქართულ სანოტო ნიშნებთან ერთად იხმარებოდა, ან ცალკე (დამოუკიდებელი).

გ) ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ რიტმს ინტონაციის გარეშე და აღნიშნავენ წაკითხვის ხერხს.

ქართული სანოტო ნიშნების სისტემა შექმნილია და ვახუშტარეზულა თვით ძველ საქართველოში. სხვა ერების სანოტო ნიშნების სისტემის გავლენა ქართულ სანოტო ნიშნებს არ ემჩნევა. ფრანგი მეცნიერის ჟ. თიბოს მიერ აღნიშნული მსგავსებანი წმინდა ფორმალური ხასიათისაა.

5. ქართული სანოტო ნიშნები დასმულია ტექსტს ზემოთ, ქვემოთ და შუაში. ექვსი ნიშნიდან, რომლებიც იწერება ტექსტს ზემოთ, ერთი ნიშანი ძირითადია, დანარჩენები, გარდა ერთისა, წარმოადგენენ მის სახე-ცვლილებას (კბილის რაოდენობის მომატებით). იგივე ითქმის ნიშნებზე, რომლებიც მოთავსებულია ტექსტს ქვემოთ. შიგ ტექსტში იხმარება ერთი ნიშანი, რომელიც მელოდიას წინადადებებად ჰყოფს. ერთი ნიშანი რიტმის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

6. XVIII ს. საგალობელთა კრებულის (Q 298-ის) ავტორი სანოტო ნიშნებს აღარ ხმარობს. მათ მაგივრად ის აღწერს, თუ რომელ საგალობელს წააგავს საგალობლის ესა თუ ის ნაწილი. შემადგენელ მელოდიურ ფორმულებს ხშირად აღნიშნავს 24 ჰრელიდან ერთ-ერთის დასახელებით.

7. ძველ ქართულ ხელნაწერებში ყველა სანოტო ნიშანი იწერებოდა სინგურით. იორდანეს კრებულში (A 603) გვხვდება სხვა ხელით დაწერილი და შეძგომი ჩაძატებული ნიშნები და ცალკე სიტყვები ან სიტყვის მარცვლები შავი მელნით. ზუსტად დადგენა იმისა, თუ როდის დაიწყეს ძველად ჩვეხში შავი მელნის ხმარება, საშუალებას მოგვცემდა გამოგვერკვია, რომელ საუკუნემდე იცოდნენ ქართველებმა სანოტო ნიშნების სისტემა.

8. სიტყვიერი ტექსტისა და სანოტო ნიშნების სისტემის ურთიერთობა რთული და ძრავალმხრივია. ნიშნები ვგვხვდება როგორც ქარაგ-

მიანი სიტყვების, ისე უქარაგმო სიტყვების ყველა ნაწილზე. ნიშნები გვხვდება უმრავლეს შემთხვევაში ხმოვან ასოებზე. თანხმოვანზე დაწერილი ნიშანი ეკუთვნის მის წინა ან მომდევნო ხმოვანს, ან კიდევ ზედმეტად ჩართულ ხმოვანს.

9. ორი ან სამი ნიშანი ერთ ხმოვანზე ერთდროულად ტექსტს ზემოთ ან ქვემოთ ან კიდევ ერთსა და იმავე დროს ტექსტს ზემოთაც და ქვემოთაც აღნიშნავს ინტონაციების კომპლექსს, რომელიც იმავე ან სხვა საგალობლის ახალგაიურ ადგილას სრულდება რამდენიმე ხმოვნის საშუალებით. ორი ან სამი ნიშანი ერთ ხმოვანზე ერთ-ერთი მთავარი საბუთია იმისა, რომ ქართული სანოტო ნიშნები აღნიშნავენ გალობის და არა კითხვის ინტონაციას.

10. ნიშნების რომელიმე კომპლექსის გამეორების დროს ერთსა და იმავე ან სხვადასხვა საგალობელში კომპლექსის შემადგენელ ნიშნებს პარალელური ნიშნები ჰქონდათ.

რადგანაც პარალელური ნიშნები გვხვდება საგალობლის ახალგაიურ ნაწყვეტებში იმავე რიგით მარცვალზე, პარალელიზმი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიტმზე; გარდა ამისა, რადგანაც პარალელური ნიშნები გვხვდება სხვადასხვა ავტორის ერთსა და იმავე ტექსტში და ნაწყვეტის ერთსა და იმავე ადგილას, პარალელიზმი დამოკიდებული არ უნდა იყოს ბგერის ხასიათზე და დინამიკურ ან აგოგიურ ნუანსებზე. პარალელიზმი გამოწვეულია ინტონაციის ვარიანტულად გამეორების საჭიროებით.

11. ყოველი ხმის სანოტო ნიშნების ფორმულები ზუსტად ან ვარიანტის სახით მეორდება სხვადასხვა საგალობელში. ვარიანტებს შორის უმრავლეს შემთხვევაში განსხვავებას ქმნის ორი ნიშანი (ერთი ტექსტს ზემოთ და ერთი ტექსტს ქვემოთ), რომლებაც რიტმს უნდა აღნიშნავდნენ. საგალობლის ნიშნების თითოეულ ფორმულაში შემადგენელი ნაწილები (ფორმულები) პერიოდულად მეორდება.

12. X-XI ს. ს. საგალობელთა ჰანგების ძირითადი ელემენტები (ცალკეული ინტონაციები, კადანსები) დღემდე უნდა იყოს შემონახული, რადგან მიქელ მოდრეკილისა და იორდანეს ზოგი საგალობლის ტექსტი, ხმა და მელოდიის ნაწილების რაოდენობა და, მაშასადამე, კადანსების რაოდენობაც გამეორებულია XVIII ს. ძლისპირებში (ხელნაწერი Q 298) და XIX-XX საუკუნეებში ანტ. დუმბაძისა და რაქდებს ხუხდაძის ძიერ თახამედროვე სახოტო სისტემით ჩაწერილ ძლისპირებში. რადგანაც კადანსები მუსიკის ყველაზე კონსერვატიული ელემენტია, მოსალოდნელია, რომ თანამედროვე ნო-

ტების სისტემით ჩაწერილი კადანსები დაემთხვეს ძველი ქართული სანოტო ნიშნებით ჩაწერილ კადანსებს.

ეს მოვლენა საგრძნობლად გაადვილებს ძველი ქართული სანოტო ნიშნების ამოხსნას.

გ. ბერძენიშვილი

ზაქარია ფალავანდიშვილი და მაშინდელი ქართული საზოგადოება (შინაარსი)

1. ზაქარია ფალავანდიშვილის წერილები (1838-1844). მნიშვნელოვანი წყაროა მისი დროის ქართველობის საზოგადო ცხოვრების გაცნობისათვის.

2. ზაქ. ფალავანდიშვილის ბიოგრაფია:

ა) მისი გენეალოგია;

ბ) მისი სწავლა-აღზრდა მოსკოვში და გარემო;

გ) მისი რეცენზია დავ. ჩუბინაშვილის ლექსაკონზე;

დ) მისი მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში.

3. ქართველი საზოგადოება ზაქარია ფალავანდიშვილის წერილებში მიხედვით.

ა) „ვეფხისტყაოსნის“ საქართველოში გავრცელების ხერხები;

ბ) მაშინდელი ქართველობა;

გ) საზოგადო საქმიანობაში ჩაბმული ქართველობა (მიხ. ბარათაშვი, ალექსანდრე სულხანიშვილი, დავით მაჩაბელი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ჯახდიერი, იოსებ წილოსანი, პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი);

დ) ზაქარია ფალავანდიშვილის წერილებში მოხსენებული „ახალგაზრდა ბარათოვი“ სულხან ბარათოვია (შემდეგში ისტორიკოსი) და არა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი;


ე) ქართული ჟურნალის გამოცემის განზრახვა.

4. კერძო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება თბილისში, მისი მესვეურები და მიზნები.

5. „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“.

6. ზაქარია ფალავანდიშვილის უეცარი სიკვდილი და ამის გამოძახილი მაშინდელ საზოგადოებაში.

7. დასკვნა.



სოფელ ქვიშარში (რაჭაში, ამბროლაურის რაიონში) უკანასკნელ წლებში ორ ფრიად საყურადღებო არქეოლოგიურ აღმოჩენას ჰქონდა ადგილი; ორივე აღმოჩენა შემთხვევითი იყო და ორივე არქეოლოგიურ განძადაა მიჩნეული.

1. პირველი აღმოჩენა მოხდა 1939 წ. მდინარე ობინელას ნაპირზე, უზარმაზარ ლოდის ძირთან. ეს განძი შედგებოდა 16 ცალი სპილენძის ცულისაგან, რომლების მსგავსი ჯერ კიდევ უცნობია საქართველოს არქეოლოგიაში. მათ შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას:

ა) ცულები ისეთნაირადაა გაკეთებული, რომ ისინი არც სამუშაო იარაღად გამოდგებიან, არც საომრად და არც სანადიროდ. ისინი საკულტო დანიშნულებისათვის უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილნი.

ბ) ცულების ფორმა, მასალა, დამუშავების ტექნიკა და სხვა გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი ცულებიდან უნდა განვითარებულიყვნენ ყობახის ტიპის ცულები. ამატომ ეს ცულები უნდა დავათარილოთ ყობახის ტიპის ცულებზე უფრო ადრინდელი დროით.

გ) საკულტო დანიშნულების ცულების აღმოჩენის ადგილი მდინარე ობინელას ნაპირზე, დიდი ლოდის ძირთან, უნდა მივიჩნიოთ უძველესი დროის სამსხვერპლოდ და ეს ადგილი უნდა ჩავთვალოთ ყველაზე ძველ საკულტო ადგილად, რომელიც ჯერ-ჯერობით ცნობილია კავკასიაში.

2. მეორე აღმოჩენა მოხდა 1946 წ. არქეოლოგიური განძი შედგებოდა ბრინჯაოს ნივთებისაგან (ყობახის ტიპის ცულები, ბრტყელი „ცულები“, სატეხი, ხელეჩოები, ჭურჭლის სახელური, ნამგალი, სამაჯურები, არაჩვეულებრივი ზომისა და წონის თავებ-გახსნილი რგოლი, ზოდები და სხვა). მათი შესწავლა შემდეგს ამუშავნებს:

ა) ყობახის ტიპის ცულები ორი სხვადასხვა სახისანი არიან.

ბ) ყობახის ტიპის ერთ-ერთ ცულზე მოცემულია სპირალები, კონცენტრული წრეები, შტოების მსგავსი გამოსახულებანი და სხვა. თვითეულ ამ გამოსახულებას აქვს სიმბოლიური დანიშნულება, ხოლო ყველანი ერთად წარმოადგენენ რელიგიურ-სიმბოლიურ წარმოდგენათა კომპლექსის ასახვას.

გ) ქვიშარის ბრტყელი „ცული“ ნამდვილი ცულის დანიშნულებას არ ასრულებდა. მას ტარი არ ეგებოდა. ის უნდა მივიჩნიოთ ტყავების საჭრელ იარაღად, რომლის მსგავსს დღესაც ხმარობენ ხარაზები.

დ) თოხისებრი პატარა ზომის იარაღები ხელეწიებად უნდა გცნათ
 ე) ქვიშარის კოლექციებში მოიპოვეთ ტყავის დასაძუშავებელი
 იარაღიც, რომელსაც ზოგიერთნი შეცდომით ნიჩაბს უწოდებენ.

ვ) მსხვილი რგოლი დიდი ზომისა, ორნამენტებით შემკული და
 ლამაზად გაკეთებული მონეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და
 არა ფეხზე (წვივზე) წამოსაცმელად, როგორც ეს ზოგიერთებს გგო-
 ნათ.

გ. გელიქიზვილი

ურარტული ტომების უძველესი კერა

1. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ურარტული ხალხის
 უზენაესი ღვთაების ხალდის კულტის ცენტრი—ქალაქი მუსას-
 სირი. ურარტულ სამწერლო ძეგლების ხანაში მუსასირის მოსახ-
 ლეობა ეთნიკურად, ენობრივად, რელიგიურ-კულტურულად და პო-
 ლიტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ურარტუს ცენტრალუ-
 რი რაიონების მოსახლეობისაგან ურარტული ხალხის საღმრთო ქა-
 ლაქად, უზენაესი ღვთაების კულტის ცენტრად მსასირი უნდა გამხ-
 დარიყო უფრო ადრეულ ხანაში, როდესაც მუსასირის ტერიტორია
 მერმინდელი ურარტუ-ბიანას სამეფოს ჰეგემონი ტომის უშუალო
 წინაპარ ხალხს ეკავა. მუსასირის ტერიტორია უკვე უძველეს დროს
 ურარტუს სამეფოს წარმოქმნის უწინარეს ხანაში უნდა ყოფილიყო
 ურარტული ტომების რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტ-
 რი, ურარტული ტომების ერთ-ერთი უმთავრესი კერა.


2. როგორც ურარტული და ასურული წყაროების მონაცემები
 ირკვევა, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადღაც მუსასირის
 მახლობლად, იმყოფებოდა აგრეთვე ურარტულ პახთეოხში ძეორე
 ადგილზე მდგომი ღვთაების თეიშეპას კულტის ცენტრი ქალაქი
 კუმენუ. ამ ფაქტშიც თავს იჩენს ურარტული ხალხის მჭიდრო
 კავშირი (კულტურულ-რელიგიური ტრადიციებისა თუ სხვა მხრივ)
 სამხრეთთან, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონ-
 თან.

3. ურარტულებთან ლულუს (ლულუბის) ხალხის სახელს „მტ-
 რის, მტრულის“ ზოგადი მნიშვნელობა მოუპოვებია. ეს ფაქტი მიგ-
 ვითითებს უძველეს ხანაში, ურარტუს სამეფოს წარმოქმნის უწინარ-
 ეს ეპოქაში, ურარტუსა და ლულუს ხალხთა შორის არსებულ ინტენ-

სიურ მტრობა-ომიანობის ფაქტზე. მის უმთავრეს ასპარეზს აღბათ-
ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია წარმოად-
გენდა, სადაც ერთმანეთის მეზობლად უნდა ეცხოვრა სამოქალაქო
ამ ფაქტის მიხედვით ვახის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე
რაიონი მოიხანს უძველეს ხახაში ურარტუელი ტომების პოლიტიკური
ცხოვრების უმთავრეს კერად.

4. ასურელებიც ურარტუელ ტომებს პირველად ვანის ტბის სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთით ხვდებიან. ასურულ წყაროებში „ურარტუს“
პირველი მოხსენებისას (XIII ს. ჩ. წ-დე) ვანის ტბის სამხრეთ-აღმო-
სავლეთით მდებარე რაიონი, მდ. ზემო ზაბის შუა დინების ან ზემო
დინების რაიონი იგულისხმება.

ყველა ამ ფაქტის მიხედვით ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლე-
თით, მდებარე რაიონი, მდ. ზემო ზაბის შუა ან ზემო დინების რაიონი
გვევლინება ურარტუელი ტომების უძველესი ხახის პოლიტიკური
და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრად, ურარტუელი
ტომების უმთავრეს კერად.



1878
F
3

რედაქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი პროფ. ა. შანიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,
აკაკი წერეთლის ქუჩა, 7.



ეროვნული
ბიბლიოთეკა